ხელშეკრულება №123
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი **07 ივნისი 2016 წელი**

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,განვითარების ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის აზა გაბუნიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **SPA160014958** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 "ქობულეთობა" სეზონის გახსნის ორგანიზების მომსახურება(CPV-79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება),

2.2 გასაწევი მომსახურების ზუსტი დასახელება, ტექნიკური მახასიათებლების სრული აღწერილობა (სპეციფიკაცია), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №2-ის მიხედვით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **27`999** (ოცდაშვიდიათას ცხრაას ოცდაცხრამეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2016 წლის II კვარტალი, ქ.ქობულეთი.

შენიშნვა: მომსახურების გაწევის კონკრეტული დღე და რიცხვი შეთანხმდება შემსყიდველთან.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი.

5.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს გაწეული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.4. თუ, მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში;

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების ფარგლებში უზრუნველყოფს მის ორგანიზებას.

7.2. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი.

8.3. კონტროლი ხორციელდება მომსახურების მიწოდების პროცესში და მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ, აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ, მხარე დაუძლეველი ძალის გამო, ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. თუ, რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ზემოთ აღნიშნული მომსახურება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს „12.1." მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.4 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.5 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან სამი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
16.2 „შემსყიდველი"–ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
16.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

17. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: 26 მაისის ქ. N29;
17.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი **BAGAGE22,** ა/ა **GE86BG0000000694117100,** საიდენტიფიკაციო კოდი **445478536;**
17.3 „მიმწოდებელი"– შპს ,,განვითარების ცენტრი"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი
გამგებლი

სულხან ევგენიძე

„მიმწოდებელი" – შპს ,,განვითარების ცენტრი"
დირექტორი

აზა გაბუნია

დანართი 2

"ქობულეთობა" სეზონის გახსნა

ფასების ცხრილი

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილება	რაოდ.	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება	შენიშვნა
1	ტრანსპორტი	ავტობუსის ქირაობა ექსკურსიისთვის - მაღალი დონის, კომფორტული , ინტერნეტით, ცხელი და ცივი წყლის მომსახურებით.30 კაცზე მარშრუტი- ქობულეთი, ისპანის ჭაობი, ციხისძირი, ბოტანიკური ბაღი, ბათუმი, ქობულეთი	ავტომობილი	1	500	500	შემსყიდველთან შეთანხმებით
2		სტუმრების დასახვედრად მაღალი კლასის კომფორტული ავტომობილი - miniveni, დახვედრა ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებში, ჩამოყვანა ქობულეთში; გაცილება ქობულეთიდან ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებში;	ავტომობილი	7	100	700	შემსყიდველთან შეთანხმებით
3	გიდი	რუსულ და ინგლისურ ენოვანი	კაცი	1	150	150	შემსყიდველთან შეთანხმებით
4	ბავშთა გასართობი პროგრამები:	ოჩოფეხებით მოსიარულე (გოგო-ბიჭი) (3-4 საათი)	კაცი	2	200	400	შემსყიდველთან შეთანხმებით
5		ანიმატორი	კაცი	1	500	500	
6		მულტიპლიკაციური გმირები	კაცი	6	200	1200	
7		საბავშო ანიმაციური თავისგამოსაყოფიანი კედელი (ფოტოსესიისთვის)	ცალი	1	150	150	
8	ფერადი ცარცი		შეკვრა	15	10	150	
9	აფიშა	A2 ფორმატის ფურცელი, თემატური წარწერითა და სურათით, აფიშით უზრუნველყოფა ღონისძიების ჩატარებამდე 10 დღით ადრე	ცალი	20	5	100	
10	ფერადი ლენტი	წითელი, ლურჯი, თეთრი, მწვანე, ნარინჯისფერი.	გრაგნილი	5	10	50	ხარისხი და ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით
11	ფერადი ბოლი	წითელი, ლურჯი, თეთრი	ცალი	30	7	210	
12	ფერადი ბუშტი		ცალი	200	0,1	20	ფერები, ხარისხი და ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით
13	საპნის ბუშტების აპარატი	საპნის ბუშტის სითხით	ცალი	1	220	220	
14	ფოტო-სურათი	A1 ფორმატის ფურცელი, თემატური წარწერითა და სურათით, უზრუნველყოფა ღონისძიების ჩატარებამდე 10 დღით ადრე	ცალი	22	10	220	ხარისხი და თემატიკა შემსყიდველთან შეთანხმებით
15	საჩუქარი	ოფიციალური სტუმრებისთვის - მაღალხარისხიანი სუვენირი მოხატული ქობულეთის ხედით,არანაკლებ 15სმ-20სმ-ზე, ჩასადები ყუთით	ცალი	50	20	1000	შემსყიდველთან შეთანხმებით
16		ღვინო - წითელი, მაღალი ხარისხის, 0,75 ლიტრი	ბოთლი	50	15	750	

17	პარაპლანი		ცალი	2	400	800	
18	რალის - რეტროსტილის და ფორმულა 1-ის ავტომობილები	ჩოლოქიდან ქობულეთის ქუჩებში გასეირნება, ზღვისპირზე სანახაობის ჩვენება - სირთულეების გადალახვა	ავტომობილი	10	150	1500	
19	სცენის შადრევანი		ცალი	10	30	300	
20	გახმოვანების აპარატურა	დინამიკები, ხმის გამაძლიერებელი, მიკროფონი უსადენო, ხუთკილოვატიანი სიმძლავრით	ცალი	1	835	835	
21	ბუშტების გირლიანდა		მეტრი	50	15	750	ფერები, ხარისხი და ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით
22	კონფეტის აპარატი	ქაღალდის ტყვიებით	ცალი	1	240	240	
23	ბეიჯი		ცალი	100	1	100	შემსყიდველთან შეთანხმებით
24	დროშების გირლიანდა	სხვადასხვა ქვეყნის პატარა დროშების ასხმა-20სმ/12სმ, გრძივ მეტრში არანაკლებ 5 ატლასის დროშა	მეტრი	240	6	1440	
25	მომსახურე პერსონალის დაქირავება	2 გოგო და 8 ბიჭი	კაცი	10	60	600	უნიფორმებით, მომსახურების დრო 29-30 ივნისი
26	დროშა	საქართველოს, იტალიის, პოლონეთის, სომხეთის, ბულგარეთის, ლიტვის, ლატვის, თურქეთის, ესტონეთის, უკრაინის,ზომა: 1,5მ/1მ	ცალი	10	40	400	
27	დროშის ფეხი	ვერცხლისფერი, ზომა არანაკლებ 2.2მ	ცალი	10	50	500	
28	დროშის ტარი	ხის - არანაკლებ 1მ სიგრძე	ცალი	10	4	40	
29	ქაღალდის ქუდი (კეპი)		ცალი	300	1	300	ფერი, ხარისხი, წარწერა და ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით
30	საღებავი	სახის მოსახატად - სხვადასხვა ფერის	ცალი	15	5	75	ხარისხი და ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით
31	სასტუმრო	ოფიციალური სტუმრებისთვის - მაღალი დონის ნომრებით, ზღვისპირა ხედით, ლიფტით, საუზმითა და სადილით, სრული 3 დღე	კაცი	20	180	3600	შემსყიდველთან შეთანხმებით
32		სხვა სტუმრები, 2 კაციანი ნომერი, საუზმით, სრული 3 დღე	კაცი	22	120	2640	შემსყიდველთან შეთანხმებით
33	კლასიკური მუსიკის შემსრულებლები	კვარტეტი - ვიოლინო 2, ჩელო , საქსაფონი	კაცი	4	150	600	შემსყიდველთან შეთანხმებით
34	ყვავილები - სცენისთვის	მუყაოს 2 დეკორატიულ ყუთში	ცალი	50	2	100	შემსყიდველთან შეთანხმებით
35		ხაჭაპური - 8 ნაჭრიანი (ც)	ცალი	32	5	160	
36		ღორის მწვადი - შამფურის(ნატურალური)	შამფური	40	8	320	
37		ქათმის მწვადი	შამფური	40	7	280	
38		მწვანილის ასორტი - მწვანე ხახვი, წიწმატი, ოხრახუში(ულუფა)	ულუფა	20	4	80	
39		სალათა-ევროპული	ულუფა	22	6	132	
40		სალათა-ბერძნული	ულუფა	22	6	132	
41		მოხარშული დედალი სოფლის	ცალი	22	12	264	

42		სინორი	ულუფა	22	5	110	
43		სულთანსკი	ულუფა	22	4	88	
44		შემწვარი წიწილა სოფლის (ც)	ცალი	20	14	280	
45		პური (ც)	ცალი	50	0,8	40	
46		აჩმა (ლანგარი)	ლანგარი	5	20	100	
47		მჭადი - კვერი	კვერი	120	0,5	60	
48		კიტრი - პომიდორი (ულუფა)	ულუფა	22	4	88	
49		ყველის ასორტი (სულგუნი, შებოლილი სულგუნი, იმერული)	ულუფა	22	5	110	
50		ტოლმა-დაკეპილი ხორცით -ცალი	ცალი	220	0,4	88	
51		ღომი (ულუფა)	ულუფა	75	3	225	
52		თიკანი (ც)	ცალი	3	80	240	
53		კუჭმაჭი-ნიგვზით (ულუფა)	ულუფა	22	6	132	
54		მეგრული კუპატი (ულუფა)	ულუფა	22	6	132	
55		ქაბაბი(ულუფა)	ულუფა	22	8	176	
56		ჩაშუშული კეცზე	კეცი	22	7	154	
57		ქამა სოკო-კეცზე სულგუნით	კეცი	22	8	176	
58		ხაშლამა (ულუფა)	ულუფა	22	7	154	
59	საზეიმო ვახშამის ორგანიზება	მხალეული -ასორტი(ბადრიჯანი, კომბოსტო, ისპანახი) ნიგვზით - თეფში	ულუფა	22	5	110	მაღალი კლასის საბანკეტო დარბაზი არანაკლებ 110 პერსონაზე, დარბაზს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი ავტოსადგომი, მისაღები დარბაზი, ლიფტი, საბანკეტო დარბაზი უნდა იყოს აღჭურვილი კომფორტული მაგიდითა და რბილი სკამებით, საცეკვაო სცენითა და თანამედროვე განათებით, მინი საკონცერტო სცენით, საბანკეტო დარბაზი უნდა მდებარეობდეს ზღვის პირველ ზოლში
60		გამაგრილებელი სასმელები - 1 ლიტრი	ბოთლი	150	1	150	
61		მინერალური სასმელი - 1 ლიტრი	ბოთლი	150	1	150	
62		მჟავის და მწვანილის ასორტი (ჯონჯოლი, ნიორი, კიტრი)	ულუფა	22	4	88	
63		გოჭი -შემწვარი (ც)	ცალი	6	70	420	
64		თევზი ზღვის კეფალი (ც)	ცალი	70	2	140	
65		ბაქლავა - ლანგარი	ლანგარი	5	30	150	
66		ბურმე - ლანგარი	ლანგარი	4	30	120	
67		ზეთის ხილი (ქილა)	ქილა	22	2	44	
68		ბაჟე (ულუფა)	ულუფა	22	2	44	
69		საწებელი (ულუფა)	ულუფა	22	1,5	33	
70		აჯიკა	ულუფა	22	1,5	33	
71		კაიმაღი (ულუფა)	ულუფა	22	3	66	
72		ბორანო (კეცი)	კეცი	22	5	110	
73		ნუგბარის ასორტი	ულუფა	22	11	242	
74		ხილის ასორტი	ულუფა	22	10	220	
75		ნადუღი პიტნით (ულუფა)	ულუფა	22	4	88	
76		ჩაი (ფინჯანი)-მაღალი ხარისხის	ფინჯანი	78	1	78	
77		ყავა (ფინჯანი)მაღალი ხარისხის	ფინჯანი	90	1	90	
78		იახნი (ულუფა)	ულუფა	22	6	132	
79		ღვინო	ლიტრი	150	3	450	
80		არაყი - სანთლის	ლიტრი	15	12	180	
81		ქობულეთის ცენტრალური კულტურის სახლი (აღმაშენებლის №114), ზღვისპირა პარკის ამფითეატრი	მუნიციპალური უზრუნველყოფა			0	
		სულ ჯამი (ლარი)				**27999**	

შპს ,,განვითარების ცენტრი"-ს დირექტორი

აზა გაბუნია